

ტესტის სახელწოდება

CA 15-3 (Cancer Antigen 15-3 - კიბოს ანტიგენი 15-3)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში CA 15-3-ს რაოდენობას განსაზღვრავს. CA 15-3 ცილაა, რომელსაც სარძევე ჯირკვლის უჯრედები წარმოქმნიან. მისი რაოდენობა ხშირად მატულობს ძუძუს კიბოს არსებობისას. ამის გამო, CA 15-3 შეიძლება გამოიყენონ, როგორც სიმსივნის მარკერი.

ძუძუს ლოკალიზებული კიბოს შემთხვევაში, პაციენტების მხოლოდ 10%-შია CA 15-3 მომატებული, ხოლო მეტასტაზების არსებობისას კი 80%-ში.

CA 15-3 შეიძლება მომატებული იყოს ზოგიერთი სხვა სახის კიბოს (მაგ. კოლინჯის კიბო, ფილტვის კიბო, საკვერცხის კიბო, პროსტატის კიბო) ან დაავადებების დროსაც. CA 15-3-ს დონემ ჯანმრთელ ადამიანებშიც შეიძლება მოიმატოს.

ამგვარად, CA 15-3 საკმარისი მგრძობლობის და სპეციფიკურობის ანალიზი არ არის, ამიტომ ძუძუს კიბოს სკრინინგისთვის იგი არ გამოდგება.

რა შემთხვევაში ინიშნება?

CA 15-3-ს ანალიზი ინიშნება, როდესაც პაციენტს შედარებით გვიანი სტადიის ძუძუს კიბო აღმოაჩნდება. ადრეულ სტადიებზე ეს ტესტი, ჩვეულებრივ, არ კეთდება, რადგან პაციენტთა უმრავლესობას ამ ეტაპზე ჯერ არ აქვს CA 15-3 მომატებული.

CA 15-3 მარკერად მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუკი კიბოს შედეგად მისი დონე მომატებულია. ასეთ შემთხვევებში, CA 15-3 პერიოდულად ინიშნება მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და რეციდივის გამოსავლენად.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

ზოგადად, CA 15-3-ს დონე დამოკიდებულია სიმსივნის ზომაზე და სტადიაზე - დიდი ზომის სიმსივნეებისას და გვიან სტადიებზე CA 15-3 უფრო მეტად არის მომატებული.

ძუძუს კიბოს მეტასტაზირებისას, CA 15-3-ს დონე განსაკუთრებით მაღალია მეტასტაზების ძვლებსა და ღვიძლში არსებობისას.

თუკი კიბოს საწინააღმდეგოდ ჩატარებული მკურნალობა ეფექტური გამოდგა, CA 15-3-ს დონე იკლებს. მოგვიანებით, მისი დონის ხელახალი მომატება რეციდივის მაჩვენებელი შეიძლება იყოს.

CA 15-3-ს დონე შეიძლება მცირედ მომატებული იყოს სხვა ტიპის სიმსივნეების და დაავადებების დროსაც.

CA 15-3-ს ნორმალური დონე ძუძუს კიბოს არსებობას არ გამორიცხავს. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების 20-25%-ში CA 15-3-ს რაოდენობა არ იმატებს.